



შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის  
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

**DTMUN**

2021 წელი

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საქეთო განათლება / Nursing
2. დამტკიცების/ცვლილების თარიღი: 21.05.2018 / 31.01.2019 / 07.02.2019 / 22.02.2019 / 16.04.2019 / 19.02.2020 / 11.02.2021/15.09.2021
3. სარეგისტრაციო ნომერი 09109-3
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქეთო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing  
აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საქეთო და სამეანო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი - *“შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საქეთო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”*
5. მიზანი  
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.
6. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები  
საქეთო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საქეთო მომსახურებას.
  - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
  - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221
8. სტრუქტურა და მოდულები  
საქეთო განათლებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საქეთო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ **180 კრედიტი**. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის სამი წელი, სრული დატვირთვით<sup>1</sup>. დაწესებულება პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე, ამასთან კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს.

საექთნო განათლება		
<b>ზოგადი მოდულები</b>		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში	2
2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	2
3	უცხოური ენა - საექთნო საქმეში	5
	<b>ჯამი</b>	<b>9</b>
<b>თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები</b>		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ჰისტოლოგია	2
2	ბიოქიმია	4
3	მიკრობიოლოგია	4
4	ანატომია-ფიზიოლოგია	10

<sup>1</sup>სრული დატვირთვა პრაქტიკული და კლინიკური სწავლებისას კვირაში არანაკლებ 35 საათისა

5	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	4
	<b>ჯამი</b>	<b>24</b>
<b>თეორიული სწავლება საექთნო საქმე</b>		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	4
2	ფარმაკოლოგია	5
3	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	2
4	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	2
5	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	3
6	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	6
7	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	7
8	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	3
9	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	5
10	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	2
11	პედიატრია და მოზარდები	3
12	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	<b>ჯამი</b>	<b>45</b>

<b>თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებები</b>		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი

1	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	1
2	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში	3
3	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები	2
	<b>ჯამი</b>	<b>6</b>

პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება (შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში)		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ავადმყოფის მოვლა	4
2	შინმოვლა	2
	<b>ჯამი</b>	<b>6</b>

პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	11
2	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	6
3	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	11
4	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
5	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	10

6	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საქეთნო მართვა	5
7	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საქეთნო მართვა	12
8	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საქეთნო მართვა	4
9	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საქეთნო მართვა	6
10	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საქეთნო მართვა	3
11	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	7
12	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები	3
13	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
14	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	<b>ჯამი</b>	<b>90</b>

## 9. სწავლის შედეგები:

კურსდამთვრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საქეთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საქეთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საქეთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საქეთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საქეთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საქეთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საქეთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საქეთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პროფესიულ სტუდენტს მოდულის შესაბამისი კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია: განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ შეფასებასთან ერთად, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით - 100 ქულიანი სისტემით.

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის აკადემიურ პროგრესს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ადგენს სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობებს.

განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემა და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა - ამასთან შეფასებისას გამოიყენება რამოდენიმე კრიტერიუმი, რომელთა ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, დასადასტურებელი შედეგის შინაარსიდან გამომდინარე არგუმენტირებული პოზიციის, შემთხვევაში შესაძლოა განისაზღვროს პედაგოგის მიერ. აღნიშნული გულისხმობს შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტის მიერ რომელიმე კრიტერიუმის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პედაგოგის გადაწყვეტილებით, მოდული/შედეგი ჩათვალოს დადასტურებულად. კრიტერიუმების ხვედრითი წონის შესახებ შესაძლებელია პროფესიული სტუდენტი არ იყოს ინფორმირებული, რათა თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ მაღალი ხვედრითი წონის მქონე საკითხების დასწავლა.

მოდულის ფარგლებში კრედიტის მინიჭების მიზნით დადებითად ფასდება მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი და ენიჭება შესაბამისი კრედიტი. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ სწავლის შედეგში დადასტურებულ იქნას, შესრულების კრიტერიუმებში გამოყენებულ ინსტრუმენტის (ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტის შემთხვევაში ინსტრუმენტების საშუალო არითმეტიკულით):

- არანაკლებ 75 %-ისა, გარდა ამავე პროგრამის ზოგადი მოდულებისა, რომლის დადასტურებისთვისაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს.
- კლინიკური სწავლების მოდულებში საქეთო პროცესისა და საქეთო მანიპულაციების სწავლის შედეგის დასადასტურებლად უნდა მიიღოს მასში შემავალი ინსტრუმენტ(ებ)ის არანაკლებ 75% -ნი შეფასება, არანაკლებ 20-ჯერ.

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა - გულისხმობს ზემოთაღნიშნული პუნქტის დაუკმაყოფილებლობას და ასეთ შემთხვევაში:

- პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს შედეგი გადააბაროს მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
- განმეორებით ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შედეგის გადაბარება მომდევნო სემესტრის ან/და წინაპირობის მქონე მოდულის/შედეგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს);
- კვლავ ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ შედეგის/მოდულის დადასტურება წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს იმ მოდულის/მოდულების გავლას, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ჩავარდნილი მოდული და იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს მოდული და მიიღოს შესაბამისი შეფასება.

პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დადასტურებს სემესტრში შემავალ რომელიმე მოდულს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს შემდეგი სემესტრის პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წინაპირობას, მას ეძლევა შესაძლებლობა მომდევნო სემესტრის მიმდინარეობისას განმეორებით გაიაროს და დაადასტუროს ჩავარდნილი მოდული. მოდულის განმეორებითი გავლის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიერ - ვერ დადასტურება - შეფასების მიღება ნიშნავს, რომ იგი ვერ აღწევს შედეგს, რაც ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

მოდულის/შედეგის თეორიულ ნაწილში - ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობით გადააბაროს მოდული/შედეგი, ხოლო პრაქტიკულ/კლინიკურ ნაწილში იგივე შეფასების დაფიქსირება გულისხმობს მოდულის/შედეგის პედაგოგის დახმარებით განმეორებით გავლის ვალდებულებას.

პროფესიული სტუდენტის შეფასება ტარდება სხვადასხვა გარემოში: აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე, სამუშაო ადგილის მსგავს სიმულაციურ ლაბორატორიაში.

პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: პროცესზე დაკვირვება; პროდუქტი /შედეგი; გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).

შეფასების ინსტრუმენტები - შეფასების ინსტრუმენტები მიემართება შეფასების ერთ, ორ ან სამივე სახეობას

პროფესიული სტუდენტის შესრულებაზე/პროცესზე დაკვირვება;

პროფესიული სტუდენტის პროდუქტების შეფასება;

კოგნიტური/შემეცნებითი უნარების შეფასება;

### ა) შემთხვევის შესწავლა (Case Study)

შემთხვევის შესწავლა შედგება ამა თუ იმ მოვლენის აღწერისგან, რომელიც რეალურ სიტუაციას ასახავს. ამას მოჰყვება რიგი ინსტრუქციები, რომლებიც ავალდებენ პროფესიული სტუდენტს, როგორც მოვლენებზე დამკვირვებელ ცალკეულ პირს გაანალიზოს შემთხვევა ან სიტუაცია, დასკვნების გამოტანით და გადაწყვეტილებების მიღებით ან მოქმედების მიმართულებების მითითებით. ასეთი დავალების შესრულება დასაშვებია, როგორც ცალკეული პროფესიული სტუდენტის, ისე ერთად მომუშავე პატარა ჯგუფების მიერ. შემთხვევის შესწავლა უზრუნველყოფს პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების შეფასების განვითარების საშუალებებს. ისინი განსაკუთრებით ხელსაყრელია, როდესაც რეალური სიტუაციის დადგმა რთულია, ხოლო სწავლისთვის განკუთვნილი დრო - შეზღუდული.

შეფასების ამ ინსტრუმენტში მნიშვნელოვანია თავად ახსნა-განმარტების, გადაწყვეტილებების მიღების და პროფესიული სტუდენტის მიერ დასკვნის გამოტანის პროცესი, შესაბამისად შემთხვევის შესწავლის შედეგის შესაფასებლად კოლეჯის მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

### ბ) კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით

ასეთი ტიპის დავალება ორი ნაწილისგან შედგება. პირობის, რომელიც ჩამოყალიბებულია შეკითხვის ან არასრული მტკიცებულების სახით (ძირითადი მოცემულობა) და პასუხების ვარიანტებისგან სავარაუდო პასუხი ძირითადად 4 ან 5-ია, რომელთაგან პროფესიული სტუდენტმა სწორი ვარიანტი უნდა აირჩიოს.

საბოლოოდ ხდება პასუხების ტესტის გასაღებთან შედარება და სწორი პასუხების მიხედვით ქულების დათვლა.

### ბ<sup>1</sup>) მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები

მრავალჯერადი პასუხის შემცველი შეკითხვები ვარაიანია კითხვებისა მრავალი არჩევითი პასუხით, რომლის დროსაც მოცემული შესაძლო პასუხებისგან რამდენიმეა მართებული. პროფესიული სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი მათგანი ან რამდენიმეს კომბინაცია, პროფესიული სტუდენტი ასევე ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რამდენი ვარიანტის არჩევა შეუძლია. იმის გამო, რომ ასეთ კითხვებზე მრავალნაირად შეიძლება პასუხის გაცემა, ისინი უფრო კომპლექსურია, ვიდრე კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით.

### გ) ზეპირი შეკითხვები



ზეპირი შეკითხვები, ჩვეულებრივ, შეზღუდული პასუხების შემცველი კითხვების მსგავსია. პასუხის ფორმა და შინაარსი შეიძლება იყოს შეზღუდული, მაგრამ შეკითხვები ნამდვილად აძლევენ პროფესიული სტუდენტს თვითგამოხატვის საშუალებას. პედაგოგის პროფესიონალიზმი განაპირობებს პროფესიული სტუდენტის სწორად შეფასებას, რადგან არ არსებობს ერთი სწორი პასუხი.

#### **დ) ზეპირი გამოცდები**

ზეპირი გამოცდა ტარდება პროფესიული სტუდენტის ვერბალური კომუნიკაციის უნარის შესამოწმებლად. ზეპირმა ტესტებმა შესაძლოა მიიღონ პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ თემაზე მომზადებული პრეზენტაციის ფორმა და ამას შემფასებელთან დისკუსია მოჰყვეს. პროფესიული სტუდენტს მოეთხოვება ინფორმაციისა და შეხედულებების გადმოცემა. ისინი აღწერენ პირად გამოცდილებებს. დასაშვებია პროფესიული სტუდენტების როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური გამოკითხვა ამ ინსტრუმენტით. ზეპირი გამოცდების შედეგების შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

#### **ე) პროექტი**

კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო/კვლევა, რომელიც სრულდება გარკვეულ დროში. პროფესიული სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს ასრულებენ დამოუკიდებლად, თუმცა შემფასებელი გარკვეულწილად ხელმძღვანელობს სამუშაოებს. ხშირ შემთხვევაში მიუთითებს თემას ან მოკლე აღწერილობას. ძიებისა და კვლევის დროს პროფესიული სტუდენტებს მიმართულებას აძლევს, სთავაზობს საინფორმაციო წყაროებს. პროექტის შესასრულებლად პროფესიული სტუდენტს უფრო მეტი დრო აქვს გამოყოფილი. პროექტის შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

#### **ვ) პრაქტიკული სავარჯიშო**

პრაქტიკული სავარჯიშო შედგება ნებისმიერი აქტივობისგან/საქმიანობისგან, რომელიც საშუალებას აძლევს პროფესიული სტუდენტს პირდაპირ გამოავლინოს საკუთარი ტექნიკური ან/და ქცევითი უნარები. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე ან/და ორივეზე.

ამასთან ზოგიერთ მოდულში, პრაქტიკული უნარის დემონსტრირებამ შესაძლოა, აჩვენოს, რომ პროფესიული სტუდენტებს შეუძლიათ კომპეტენციის დემონსტრირებისთვის საჭირო ცოდნის გამოყენება, თუმცა იგივე სხვა მოდულში შეიძლება არ გამოვლინდეს. ასეთ შემთხვევებში, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი შეფასება, როგორცაა გამოკითხვა (შეკითხვების დასმა), რათა ხელი შევეწყოთ უნარზე დაკვირვების პროცესს. პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

#### **ზ) როლური თამაში**

როლური თამაშებისას, პროფესიული სტუდენტებისთვის წარმოდგენილია სიტუაციები, ხშირად პრობლემა ან ინციდენტი, რომელზეც რეაგირება უნდა მოახდინონ კონკრეტული როლის მორგებით - განსხვავებით სიტუაციის ანალიზისგან, რომლის დროსაც პროფესიული სტუდენტი პასიური დამკვირვებელია. შესაძლოა წინასწარი რეპეტიცია არ იყოს გავლილი ან ინდივიდს უბრალოდ მოკლედ გააცნონ სათამაშო როლი. ასეთი შეფასებები უფრო ღია და ადამიანზე ორიენტირებულია, ვიდრე სიმულაციები. როლური თამაშის შედეგის შესაფასებლად დაწესებულებას შექმნილი აქვს კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

#### **თ) სიმულაცია**

სიმულაცია არის პრაქტიკული სავარჯიშო. ის მაქსიმალურად ჰგავს რეალურ სამუშაო ადგილზე განსახორციელებელ სამუშაოს. სიმულაციას მიზანია პროდუქტის შექმნა და შექმნის პროცესის ორგანიზება. სიმულაციამო

პროფესიული სტუდენტი აქტიურადაა ჩართული.

პროფესიული სტუდენტის შედეგი სიმულაციაში მის აქტიურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული. სიმულაციის გარემო პირობები და შესასრულებელი სამუშაო მაქსიმალურად ჰგავს რეალურ სიტუაციას. სიმულაცია განსხვავდება როლური თამაშისგან. როლური თამაშისგან განსხვავებით სიმულაცია ერთ კონკრეტულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. სიმულაციის მიზანია შეამოწმოს ქვევითი, ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები რეალურ გარემოში. სიმულაციის შედეგის შესაფასებლად დაწესებულების მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

### ი) პრეზენტაცია

პრეზენტაცია ეწოდება შესრულებული პრაქტიკული ან თეორიული პროექტის შედეგების წარდგენის პროცესს. პრეზენტაცია ხშირად საჯარო გამოსვლის ფორმატით ტარდება და მას შესაძლოა უშუალოდ შემფასებლების გარდა ფართო აუდიტორიაც დაესწროს. პრეზენტაციის შედეგის შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

თუმცა, რამდენადაც პრეზენტაცია შესრულებული პროექტის წარდგენას გულისხმობს, იგი პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასებისათვის გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როცა პროფესიული სტუდენტს საკმარისი გამოცდილება აქვს დაგროვილი პროექტის განხორციელებისათვის. შესაბამისად პრაქტიკული პროექტის პრეზენტაცია ხორციელდება სემესტრის ან საგანმანათლებლო პროგრამის ბოლოს, მაშინ როდესაც თეორიული პროექტის პრეზენტაცია თეორიული/შესავალი კურსების დასრულების შემდეგ შეფასების ადეკვატურ ფორმას წარმოადგენს.

## 11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

(კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიული სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების კრედიტების სრული რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სრულად დადასტურებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემთხვევაში.

საკვალიფიკაციო გამოცდა - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის შემაჯამებელი, ინტეგრირებული, ღია და დახურული ტესტური დავალებებისაგან შემდგარი წერითი გამოცდაა. ამასთან კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით პროფესიულმა სტუდენტმა საკვალიფიკაციო გამოცდაზე უნდა გადალახოს 75%-ანი ბარიერი.

საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება განხორციელდება კოლეჯის და დამოუკიდებელი პროფესიული (არამხოლოდ საექტნო) ასოციაციების თანამშრომლობით. ასოციაცია პასუხისმგებელია, გამოცდის პროგრამასთან შესაბამისობაზე, ასევე მისი კონფიდენციალურობისა და სათანადო გარემოში წარმართვაზე. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და მისი ორგანიზების, შეფასებისა და შედეგების შესახებ ინფორმირებულობის, პროფესიული სტუდენტის პრეტენზიის განხილვის საკითხები, მოწესრიგებული იქნება მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებითა და ასოციაციის, დაწესებულებისა შიდა რეგულაციებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვითა და გათვალისწინებით.

პროფესიული კვალიფიკაცია კურსდამთავრებულს მიენიჭება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ან პროფესიული ასოციაციის შიდა რეგულაციის შესაბამისად წარმოებული დასკვნისა და დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ამოქმედდება საგამოცდო საკითხების ბანკისა და პროფესიულ ასოციაციასთან შეთანხმების მიღწევის, სათანადო საკანონმდებლო ბაზის მომზადების შემდეგ)

## 12. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებთან და პაციენტებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნითა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება-სწავლა საავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში უნდა მიმდინარეობდეს საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების<sup>2</sup> ზედამხედველობის ქვეშ.

კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირის, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრამდე, კლინიკურ სწავლა-სწავლების პროცესში პრაქტიკის ობიექტის მხრიდან ჩართული ექთნები აკმაყოფილებენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

### კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ზეზღაჯალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კლინიკური მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

### კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა

კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

## 13. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“ მიერ პრაქტიკის ობიექტებად მითითებული ყველა დაწესებულება აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე<sup>3</sup> ბრძანების მოთხოვნებს.

## 14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

<sup>2</sup> კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში (90 კრედიტი) ჩართული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტის/ობიექტების ერთზე მეტი ექთანი.

<sup>3</sup><https://matsne.gov.ge/ka/document/view/3192567>

კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშროლობის, პროფესიული სტუდენტის სტატუსისა და საჭიროებების გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოყენებული იქნება, როგორც სახელმძღვანელო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - ამავე პროგრამით გათვალისწინებული წესით.

#### 15. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

#### პროფესიული სტანდარტები:

- პრაქტიკოსი ექთანი
- ექთნის თანაშემწე

#### დარგის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები/სტანდარტები:

- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005/36/EC რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013/55/EU რეგულაცია

#### კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

#### საავტორო უფლებები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

დანართი №1 - მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი №2 - დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობები

დანართი №3 - მოდულის მიწოდების წინაპირობების განსაზღვრის თავისებურებები